

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2011 წლის 16 მარტის სხდომის
ოქმი №10

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 35 წევრიდან ესწრებოდა 30. ასევე, სხდომას ესწრებოდა სტუ-ს რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: მოგესალმებით. დღეს ვატარებთ აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების გაერთიანებულ სხდომას, რომელზეც გვესწრებიან ფაკულტეტების დეკანებიც. მოკლედ შევეხები იმ საკითხებს, რომლებიც დღის წესრიგშია წარმოდგენილი და დღევანდელ სხდომაზე იქნება განხილული: პირველი, ესაა თამბაქოს კონტროლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება.

აქვე მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო ერთ მტკივნეულ საკითხზე – ესაა მერვე, მეორე და მესამე კორპუსები, რომლებიც უზურფუქტით ჩვენ გადმოგვეცა, მაგრამ რუკაზე არ არის აღნიშნული, ხოლო მერვე კორპუსის ძირითადი პრობლემა ისაა, რომ მის გარშემო მდებარე ტერიტორია დიდი ხანია მითვისა მოსახლეობამ, სადაც აიშენეს ავტოფარეხები. ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით მათთან დავას არ ვაპირებთ, რადგან აზრი არა აქვს და შედეგიც არ გვექნება, ამიტომ მაქვს წინადადება: ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით იურიდიულმა სამსახურმა წარმოადგინოს წინადადებები, რამდენად რეალურია, რომ ზემოაღნიშნული გახდეს ჩვენი მხრიდან დავის საგანი.

პროფ. მერაბ თევზაძე: გეთანხმებით, ბატონო არჩილ. მათთან კამათს არა აქვს აზრი და გვირჩევნია, რომ დაუკანონოთ მათ ეს ტერიტორია, მაგრამ ჩვენ სახელმწიფომ დაგვიკანონოს მერვე კორპუსი.

პროფ. ლადო ვარდოსანიძე: მე მგონია, რომ ეს პრობლემა სახელმწიფომ უნდა მოაგვაროს.

გაერთიანებულმა საბჭომ წარმოდგენილი ინფორმაცია მიიღო ცნობად.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე და „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-10 მუხლების საფუძველზე, სტუ-ს ტერიტორიაზე თამბაქოს რეალიზაციისა და მოხმარების აკრძალვის შესახებ (მომხს. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქ. ქოქრაშვილი).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე, „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-10 მუხლების თანახმად, სტუ-ს ტერიტორიაზე თამბაქოს რეალიზაცია და მოხმარება უნდა იქნეს აკრძალული, ეს პროექტი წარმოდგენილია ბრძანების სახით. დავამატებ, რომ ჩვენ არანაირი სიახლე მასში არ შეგვიტანია.

პროფ. დავით ჯაფარიძე: მაინტერესებს, ზოგადად იმუშავენ თუ არა ეს მექანიზმი?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: დიახ, მიმაჩნია, რომ ნაწილობრივ უნდა იმუშაოს, რადგან დერეფნებში ფაქტობრივად მოწვევა აღარ იქნება.

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: სიგარეტის მოწვევა უნივერსიტეტში ერთობ ამაზრზენი საქციელია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენთან, ტექნიკური უნივერსიტეტის ზოგიერთ კორპუსში, ისეთი დანადგარებია, რომ არსებობს ხანძრის საშიშროება. ამიტომ სიგარეტის მოწვევა სრულიად უნდა აიკრძალოს შენობებში. ამაზე კონტროლი დაევალება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

პროფ. ჯემალ ბერიძე: მოგესხენებათ, ყველა კორპუსში არის დაცვა, ამიტომ დაევალოთ მათ თამბაქოს აკრძალვასთან დაკავშირებული ღონისძიებანი.

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: გეთანხმებით, ასევე ჩვენი კამერებიც გააკონტროლებენ, რომ შესრულდეს ეს კანონი.

სპიკერი: ბატონებო, ჩვენ ამ სიტუაციაში ვართ სუბიექტი, რომელმაც სისრულეში უნდა მოიყვანოს კანონი. ამიტომ თუ პრინციპულად მივიღებთ გადაწყვეტილებას, დარჩება მოსაგვარებელი მხოლოდ მისი ორგანიზაციული მოწესრიგების უზრუნველყოფის საკითხი. ამიტომ, ვფიქრობ, დაცვას დაეუმატოთ ფუნქცია და გაეხადოთ დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური. მისი დასაწყისი იქნება ის, რომ აიკრძალება მოწვევა ტექნიკურ უნივერსიტეტში. რა თქმა უნდა, იურიდიულმა სამსახურმა უნდა მოამზადოს დებულების შესაბამისი ცვლილებების პროექტი.

პროფ. დავით ჯაფარიძე: მიმაჩნია, რომ ამასთან დაკავშირებით უნდა დაიწეროს კანონი და შესაბამისი დებულება.

სპიკერი: თუ ამოიწურა შეკითხვები ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ ანგარიშს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების ერთობლივი

ბ ა დ ა ო რ ი ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების ერთობლივ სხდომაზე განხილულ იქნა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე და „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-10 მუხლების საფუძველზე სტუ-ს ადმინისტრაციულ და საწავლო კორპუსებში თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციისა და თამბაქოს მოწვევის აკრძალვის შესახებ რექტორის ბრძანების პროექტი. საბჭოებმა გადაწყვიტეს:

- 1. წარმოდგენილი პროექტი ერთხმად იქნეს მოწონებული და რეკომენდებული დასამტკიცებლად.*
- 2. დაევალოს სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს პროფ. ქეთევან ქოქრაშვილს 10 დღის ვადაში სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით შეიმუშაოს და წარუდგინოს რექტორს დასამტკიცებლად თამბაქოს მოწვევის და რეალიზაციის აკრძალვასთან დაკავშირებით სტუ-ში დისციპლინარული პასუხისმგებლობის წესები.*

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის სარგებლობაში გადმოცემული ფართობების იჯარით გაცემის საკითხის დამტკიცება. მომხსენებელი – ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის სარგებლობაში გადმოცემულია ქვემოთ ჩამოთვლილი ფართობი (აქვე მოგახსენებთ, რომ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ობიექტი დღეის

მდგომარეობით გაიჯარებულა, მაგრამ ეწურებათ იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადა). ესენია:

1. მ. კოსტავას ქ.№77-ში მდებარე VIII სასწავლო კორპუსის მე-8 სართულზე არსებული 37,2 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი. ფართი გაიცემა ლაბორატორიის მოწყობის პირობით, 2 წლის ვადით;
2. მ. კოსტავას ქ.№77-ში მდებარე VIII სასწავლო კორპუსის შენობის სახურავზე არსებული 5 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი. ფართი გაიცემა ანტენის განსათავსებლად, 2 წლის ვადით;
3. მ. კოსტავას ქ.№77-ში მდებარე VI სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე არსებული 48.09 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი. ფართი გაიცემა კვების ობიექტის მოწყობის პირობით, 2 წლის ვადით.
4. მ. კოსტავას ქ.№77-ში მდებარე VI სასწავლო კორპუსის მე-6 სართულზე არსებული 39.06 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი. ფართი გაიცემა კვების ობიექტის მოწყობის პირობით, 2 წლის ვადით.
5. მ. კოსტავას ქ.№77-ში მდებარე VI სასწავლო კორპუსის შენობის ფასადზე არსებული 144.0კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი. ფართი გაიცემა სარეკლამო საქმიანობისთვის, 2 წლის ვადით.
6. მ. კოსტავას ქ.№77-ში მდებარე VIII სასწავლო კორპუსის შენობის სახურავზე არსებული 5 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი. ფართი გაიცემა ანტენის განსათავსებლად, 2 წლის ვადით;
7. მ. კოსტავას ქ.№77-ში მდებარე VI სასწავლო კორპუსის შენობის სახურავზე არსებული 5 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი. ფართი გაიცემა ანტენის განსათავსებლად, 2 წლის ვადით.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 16 მარტის №10 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის სარგებლობაში გადმოცემული ფართობების იჯარით გაცემის დამტკიცების შესახებ.

საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა შემდეგი ობიექტების

გაიჯარების საკითხი:

- 1. მ. კოსტავას ქ. №77-ში მდებარე VIII სასწავლო კორპუსის მე-8 სართულზე არსებული 37,2 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი. გაიცემა ლაბორატორიის მოწყობის პირობით, 2 წლის ვადით;*
- 2. მ. კოსტავას ქ. №77-ში მდებარე VIII სასწავლო კორპუსის შენობის სახურავზე არსებული 5 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი. გაიცემა ანტენის განსათავსებლად, 2 წლის ვადით;*
- 3. მ. კოსტავას ქ. №77-ში მდებარე VI სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე არსებული 48.09 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი. გაიცემა კვების ობიექტის მოწყობის პირობით, 2 წლის ვადით.*
- 4. მ. კოსტავას ქ. №77-ში მდებარე VI სასწავლო კორპუსის მე-6 სართულზე არსებული 39.06 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი. გაიცემა კვების ობიექტის მოწყობის პირობით, 2 წლის ვადით.*
- 5. მ. კოსტავას ქ. №77-ში მდებარე VI სასწავლო კორპუსის შენობის ფასადზე არსებული 144.0კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი. გაიცემა სარეკლამო საქმიანობისთვის, 2 წლის ვადით.*
- 6. მ. კოსტავას ქ. №77-ში მდებარე VIII სასწავლო კორპუსის შენობის სახურავზე არსებული 5 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი. გაიცემა ანტენის განსათავსებლად, 2 წლის ვადით;*
- 7. მ. კოსტავას ქ. №77-ში მდებარე VI სასწავლო კორპუსის შენობის სახურავზე არსებული 5 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი. გაიცემა ანტენის განსათავსებლად, 2 წლის ვადით.*

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – 2011 წლის სტუ-ს დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილების დამტკიცება – მომხსენებელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: მინდა მოგახსენოთ 2011 წლის სტუ-ს დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ, კერძოდ, ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ეკონომიკური საქმიანობის შემოსავლებიდან ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში კომუნალური ხარჯების, წყლის ხარჯებიდან 500 ლარი გადატანილ იქნეს არაწარმოებული, არამატერიალური აქტივების მუხლში.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 16 მარტის №10 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი 2011 წლის სტუ-ს დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილების დამტკიცების შესახებ.

საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა 2011 წლის სტუ-ს დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილება, კერძოდ, ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ეკონომიკური საქმიანობის შემოსავლებიდან ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში კომუნალური ხარჯების, წყლის ხარჯებიდან 500 ლარი გადატანილ იქნეს არაწარმოებული, არამატერიალური აქტივების მუხლში.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – ხელფასზე ყოველთვიური დანამატის შესახებ – მომხსენებელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: საკითხი ეხება ხელფასზე ყოველთვიურ დანამატს, კერძოდ: სტუ-ს პროფესიული განათლების სასწავლო სამეცნიერო ცენტრის დირექტორის მოადგილის პროფ. ლალი ღოღელიანის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სტუ-ს პროფესიული განათლების სისტემაში I, II, III და IV სწავლების საფეხურების შემოდებასთან დაკავშირებით, გაიზარდა სტუდენტთა კონტინგენტი და, შესაბამისად, სამუშაოს მოცულობა. ამიტომ ქვემოთ ჩამოთვლილ თანამშროლებს დაენიშნოთ ხელფასზე ყოველთვიური დანამატი 50%-ის ოდენობით, 1. ა. დავითაშვილი; 2. თ. ცერცვაძე; 3. ი. კლიმიაშვილი; 4. ბ. ბესტავაშვილი. ასევე სტუ-ს საგამომცემლო სახლ “ტექნიკური უნივერსიტეტის” სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის, ანზორ შავგულიძის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს რედატორს აკაკი ჩიქოვანს დაენიშნოს ხელფასზე ყოველთვიური დანამატი 200 (ორასი) ლარის ოდენობით. აღნიშნულის დაფინანსება განხორციელდეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ფონდიდან.

პროფ. დავით ჯაფარიძე: მე ასეთ საკითხებთან მიმართებაში ყოველთვის აღვნიშნავ ხოლმე პრემიალურ სისტემას. მაგრამ ამ შემთხვევაში დავუნიშნოთ

ბატონ ა. ჩიქოვანს დროებითი დანამატი მანამ, სანამ პრემიალურ სისტემაზე გადავალთ ოფიციალურად.

სპიკერი: ეს დანამატი გამომდინარეობს იქიდან, რომ ბატონი აკაკი კარგად მუშაობს და, მართლაც, დამსახურებულად ეკუთვნის მას ეს თანხა. ვფიქრობ, მის მიერ გაწეული სამუშაოს არაადეკვატური ანაზღაურება ხდება.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა მეოთხე საკითხი, რომელიც კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 16 მარტის №10 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი ხელფასზე ყოველთვიური დანამატის შესახებ.

საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, სტუ-ს პროფესიული განათლების სისტემაში I, II, III და IV სწავლების საფეხურების შემოღებასთან დაკავშირებით, რამაც გაზარდა სტუდენტთა კონტინგენტი და შესაბამისად სამუშაოს მოცულობა, ქვემოთ ჩამოთვლილ თანამშრომლებს დაენიშნოთ ხელფასზე ყოველთვიური დანამატი 50%-ის ოდენობით: 1. ა. დავითაშვილი; 2. თ. ცერცვაძე; 3. ი. კლიმიაშვილი; 4. ბ. ბესტავაშვილი

ასევე, სტუ-ს სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს რედაქტორს, აკაკი ჩიქოვანს დაენიშნოს ხელფასზე ყოველთვიური დანამატი 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

აღნიშნული დანამატების დაფინანსება განხორციელდეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ფონდიდან. სტუ-ში პრემიალური ახალი სისტემის შემოღების და ამოქმედების შემდეგ დადგენილი დანამატები გაუქმდეს.

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: შემდეგი საკითხი ეხება სამეცნიერო საბჭოს შექმნას ტექნიკურ უნივერსიტეტში, რაზეც იმსჯელა აკადემიურმა საბჭომ. კერძოდ, ესაა 12 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლებიც, მოგეხსენებათ, 1-ლი იანვრიდან ჩვენ გვეკუთვნის. ამდენად, ვაღიარებ ვართ, რომ მათი წარმომადგენლები გვყავდეს აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებში. ჩვენ ვფიქრობდით, თუ რა სახით უნდა ჩავგვეერთო ისინი სასწავლო-სამეცნიერო პროცესში და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ შევქმნათ ე. წ. სამეცნიერო საბჭო,

რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტებისთვის ხარისხის მინიჭებას. ბოლო პერიოდში ხშირია ამ ხარისხის დევალვაცია. მოგეხსენებათ, ნაშრომი უნდა იყოს ძალიან სერიოზული, უნდა შეიცავდეს კვლევას და სწორედ სამეცნიერო საბჭოს დაეკისრება ამის კონტროლი. რაც შეეხება მის შემადგენლობას, მასში იქნებიან ფაკულტეტის და ამ 12 კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლები. საბჭოს ვუხელომდვანელებ მე.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 16 მარტის №10 სხდომაზე განხილული იქნა დებულება სამეცნიერო საბჭოს შექმნის შესახებ. საკითხი საბჭოზე განსახილველად შემოიტანა სტუ-ს რექტორმა, პროფ. არჩილ ფრანგიშვილმა.

საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სამეცნიერო საბჭოს დებულება.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

თამარ ბუზიაშვილი